[ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში]

N2026-013A

3 თებერვალი 2026

პატივცემული მინისტრი ლაშა ხუციშვილი
ფინანსთა სამინისტრო
ვ. გორგასლის ქუჩა 16, 0114
თბილისი, საქართველო

ძვირფასო პატივცემულო მინისტრო ხუციშვილო:

საკითხი: სესხის ნომერი 6024-GEO: 2019 წლის 9 დეკემბრის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება

1. ჩვენ ვუთითებთ საქართველოსა („მსესხებელი“) და აზიის განვითარების ბანკს („ADB“) შორის 2019 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ სასესხო შეთანხმებას აღნიშნული პროექტისათვის („სასესხო შეთანხმება”), როგორც ეს შესწორებულია. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ ტერმინებს, რომლებიც არ არის განმარტებული, ენიჭებათ სასესხო შეთანხმების ფარგლებში მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა.

2. 2025 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებული მსესხებლის მოთხოვნის შესაბამისად, 2025 წლის 15 დეკემბერს ADB-მ დაამტკიცა სესხის დახურვის თარიღის გახანგრძლივება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MRDI), როგორც პროექტის მზაობის დაფინანსების (PRF)-ის ერთ-ერთი აღმასრულებელი ორგანიზაციის, რეორგანიზაციის შედეგად ADB-მ 2025 წლის 15 დეკემბერს დაამტკიცა PRF-ის აღმასრულებელი ორგანიზაციის შესახებ ცვლილება. ცვლილებების ძალაში შესვლის მიზნით, ADB გთავაზობთ სასესხო შეთანხმება შეიცვალოს შემდეგნაირად:

(ა) სასესხო შეთანხმების პუნქტი 1.02 (თ), (ლ), და (ტ) უნდა შეიცვალოს და მითითება

აზიის განვითარების ბანკი
ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში
ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64ბ
0179 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 225 0619
www.adb.org/georgia
adbgrm@adb.org

„რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო“-სა და „MRDI“-ზე უნდა ჩანაცვლდეს შესაბამისი მითითებით „ინფრასტრუქტურის სამინისტრო“ და „MOI”.

(ბ) სასესხო შეთანხმების პუნქტი 3.05 შეიცვალოს და მითითება 2025 წლის 30 დეკემბერზე ჩანაცვლდეს 2028 წლის 30 სექტემბრით. ასევე, შეიცვალოს განრიგი 1-ის (PRF აქტივობების აღწერა) მე-3 პუნქტი და მითითება 2025 წლის 31 აგვისტოზე ჩანაცვლდეს

2028 წლის 31 მაისით.

3. ზემოხსენებული ცვლილებების გარდა, სასესხო შეთანხმება რჩება უცვლელი.

4. ADB-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის (2018) („AIP“) შესაბამისად, სასესხო შეთანხმების ცვლილებები განთავსდება ADB-ის ვებ გვერდზე ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც წაიშლება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება მსესხებლის მიერ განსაზღვრულ AIP გამონაკლისებს.

5. მსესხებლის თანხმობა წინამდებარე წერილ-შეთანხმების მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ ცვლილებებზე და აღნიშნული წერილ-შეთანხმების პირობების მსესხებლის მიერ დასადასტურებლად გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ცვლილების წერილ-შეთანხმების ორ ორიგინალს გამოყოფილ ადგილას. გთხოვთ, შეინახოთ ამ წერილ-შეთანხმების ერთი ხელმოწერილი ორიგინალი თქვენი ჩანაწერებისთვის და მეორე დაუბრუნოთ ADB-ს. შემოთავაზებული ცვლილებები ძალაში შევა ADB-ის მიერ ამ წერილ-შეთანხმების მსესხებლის მიერ ორიგინალის მიღების თარიღიდან მსესხებლის მიერ მისი ძალაში შესვლისთვის აუცილებელი ყველა სამართლებრივი პროცედურის შესრულების შესახებ შეტყობინებასთან ერთად.

პატივისცემით,

_____

ლესლი ბეარმენ ლამი
ქვეყნის დირექტორი
ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში

ა. მიღებული და შეთანხმებულია.

ბ. დადასტურებულია, რომ სასესხო შეთანხმების ცვლილებები არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ხვდება AIP-ის გამონაკლისებში.

მსესხებლისთვის და მისი სახელით
საქართველო

სახელი: ლაშა ხუციშვილი

თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

თარიღი: 11 თებერვალი 2026

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო№/REGISTRATION № B37/1-26
თარიღი/DATE 11.02.2026
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia